



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია
საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის
2017 წლის 10 ნოემბრის № 55 ბრძანებით

საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
პრაქტიკოსი ექთანი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. თბილისი, გოგოლის ქ. №8

ტელეფონი: 2 95 30 83

ვებ-გვერდი: www.fanaskerteli.edu.ge

ელ-ფოსტა: college_fanaskerteli@yahoo.com

პროგრამის კოორდინატორი:



თბილისი 2017

I. **სახელწოდება:** პრაქტიკოსი ექთანი
II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 09101-პ, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტი

V. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს

ა) **ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:**

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

ბ) **სხვადასხვა ინსტიტუციაში:**

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

გ) **ჯანდაცვის ორგანიზაციაში**

- ჯანდაცვის სამინისტრო

VII. **მიზანი:**

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

VIII. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღომისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

IX. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:
საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე ითვალისწინებს ორ არჩევითი სტატუსის მოდულებს - შინმოვლას და ექთან ანესთეზისტის საქმეს.

X. პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 154 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 28 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 124 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები			სავალდებულო პროფესიული მოდულები			არჩევითი პროფესიული მოდულები		
№	დასახელება	კრედიტი	№	დასახელება	კრედიტი	№	დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3	4	გაცნობითი პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	2	28	ექთანი ანესთეზისტის საქმე	2
2	მეწარმეობა 3	3	5	საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	12	29	შინმოვლა	4
3	უცხოური ენა (ინგლისური)	5	6	პრაქტიკული პროექტი - პრაქტიკოსი ექთანი	6	30		
			7	ავადმყოფის მოვლა	6	31		
			8	გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	4	32		
			9	დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	2	33		

			10	ენდოკრინული პაციენტის საექთნო მართვა	2	34		
			11	თავისა და კისრის პათოგიების მქონე პაციენტის საექთნო მართვა	2	35		
			12	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6	36		
			13	ინფექციის კონტროლი საექთნო საქმესი	4			
			14	ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა	4			
			15	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	6			
			16	ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	4			
			17	ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	3			
			18	პაციენტის ფიზიკური შეფასება	8			
			19	პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	5			
			20	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2			
			21	რეაბილიტაცია საექთნო საქმეში	2			
			22	საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	4			
			23	საექთნო პროცედურები და მანიპულაციები	6			
			24	სამედიცინო ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	2			
			25	ფარმაკოლოგიის საფუძვლები საექთნო	5			

			საქმეში				
		26	ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	3			
		27	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	7			
	სულ	11	სულ	107		სულ	6

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციას მინიჭება საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XIV. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

დანართი 1. სავალდებულო ზოგადი მოდული „ინფორმაციული წიგნიერება 2“

დანართი 2. სავალდებულო ზოგადი მოდული „მეწარმეობა 3“

დანართი 3. სავალდებულო ზოგადი მოდული „უცხოური ენა (ინგლისური)“

დანართი 4. სავალდებულო პროფესიული მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი“

დანართი 5. სავალდებულო პროფესიული მოდული „საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი“

დანართი 6. სავალდებულო პროფესიული მოდული „პრაქტიკული პროექტი - პრაქტიკოსი ექთანი“

დანართი 7. სავალდებულო პროფესიული მოდული „ავადმყოფის მოვლა“

დანართი 8. სავალდებულო პროფესიული მოდული „გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 9. სავალდებულო პროფესიული მოდული „დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 10. სავალდებულო პროფესიული მოდული „ენდოკრინული პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 11. სავალდებულო პროფესიული მოდული „თავისა და კისრის პათოლოგიების მქონე პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 12. სავალდებულო პროფესიული მოდული „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 13. სავალდებულო პროფესიული მოდული „ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში“

დანართი 14. სავალდებულო პროფესიული მოდული „ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 15. სავალდებულო პროფესიული მოდული „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 16. სავალდებულო პროფესიული მოდული „ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 17. სავალდებულო პროფესიული მოდული „ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 18. სავალდებულო პროფესიული მოდული „პაციენტის ფიზიკური შფასება“

დანართი 19. სავალდებულო პროფესიული მოდული „პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 20. სავალდებულო პროფესიული მოდული „პირველადი გადაუდებელი დახმარება“

დანართი 21. სავალდებულო პროფესიული მოდული „რეაბილიტაცია საექთნო საქმეში“

დანართი 22. სავალდებულო პროფესიული მოდული „საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა“

დანართი 23. სავალდებულო პროფესიული მოდული „საექთნო პროცედურები და მანიპულაციები“

დანართი 24. სავალდებულო პროფესიული მოდული „სამედიცინო ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“

დანართი 25. სავალდებულო პროფესიული მოდული „ფარმაკოლოგიის საფუძვლები საექთნო საქმეში“

დანართი 26. სავალდებულო პროფესიული მოდული „ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 27. სავალდებულო პროფესიული მოდული „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“

დანართი 28. არჩევითი პროფესიული მოდული „შინმოვლა“

დანართი 29. არჩევითი პროფესიული მოდული „ექთანი ანესთეზისტის საქმე“

დანართი 30. სასწავლო გეგმა

დანართი 31. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი